B20032788

გადახდის ნომერი: **EN1931664**
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: **B20032788**
განცხადების რეგისტრაციის დრო: 11/05/2020 19:02:25
განცხადების ნომერი: 1931664
განცხადების მიღების დრო: 11/05/2020 18:57:38

განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება (განმცხადებელი: ნიკოლოზ ჩიქოვანი/01009009175/), რომლითაც მოთხოვნილია სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია.

სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
დასახელება: **შპს ჯორჯიან მანგანეზი**
საიდენტიფიკაციო კოდი: **230085797**

თანდართული დოკუმენტაცია:

- დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- განჩინება;

მომსახურება: 1 დღის ვადაში 100 + 20 ლარი

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო **SMS**–ის საშუალებით.

სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** ;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: **2 405405** ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე **2 405405** ;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: **08 009 009 09**
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: **info@napr.gov.ge**

1931664
გადახდის ნომერი: EN1931664

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

განმცხადებელი: **ნიკოლოზ ჩიქოვანი**
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი: **01009009175**
საცხოვრებელი / იურიდიული მისამართი: **ზესტაფონი საქარხნოს ქ. N 9**

განცხადება

მოვითხოვ, რომ მოახდინოთ სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია

დასახელება: **შპს ჯორჯიან მანგანეზი**
საიდენტიფიკაციო კოდი: **230085797**

შესაცვლელი რეკვიზიტი

თანდართული დოკუმენტაცია:

- დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- განჩინება;

სუბიექტის საკონტაქტო ინფორმაცია

წილის მმართველის უფლებამოსილების გაგრძელება;

მომსახურება : 1 დღის ვადაში 100 + 20 ლარი

განმცხადებელი პირი: ----------/ ნიკოლოზ ჩიქოვანი /

განცხადების წარდგენის თარიღი: 11/05/2020 18:57:38

5985013087835

www.ecd.court.ge

თბილისის საქალაქო სასამართლო

დ. აღმაშენებლის ხეივანი N64

3/3381-17
330350017001917677
11.05.2020 წელი

შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის" სპეციალური მმართველი
(წარმომადგენელი გიორგი ყავლაშვილი)

გეგზავნებათ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 8 მაისის N3/3381-17 განჩინება.

პატივისცემით,
ნინო არაბული

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის
მოსამართლე ნინო ბუაჩიძის თანაშემწე

საქმე №330350017001917677
საქმე №3/3381-17

5984988001219
www.ecd.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

08.05.2020 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ნინო ბუაჩიძე

შუამდგომლობის ავტორი: შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის" სპეციალური მმართველი

შუამდგომლობის მოთხოვნა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 მაისის განჩინების 1.5 პუნქტის საფუძველზე თანდართული სამოქმედო გეგმით შპს ჯორჯიან მანგანეზის (ს/კ 230085797) სპეციალური მართვის რეჟიმის დამატებით სამი წლის ვადით გაგრძელება;

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

აღწერილობითი ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას 2020 წლის 7 მაისს შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის" სპეციალურმა მმართველმა შუამდგომლობით მომართა.

შუამდგომლობის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს შუამდგომლობა და შპს „ჯორჯიან მანგანეზის" (ს/ნ: 230085797) მიმართ დადგინდა სპეციალური მართვის რეჟიმის მოქმედება, სანებართვო/სალიცენზიო ქმედების განხორციელებისა და სანებართვო/სალიცენზიო პირობების შესრულების მიზნით, ხოლო მოქმედების ვადად განისაზღვრა – არაუმეტეს 3 წელი, კერძოდ, არაუმეტეს 2020 წლის 9 მაისისა. ამავე განჩინებით შპს „ჯორჯიან მანგანეზის" (შემდგომ – კომპანია ან საწარმო) სპეციალურ მმართველად სალიცენზიო/სანებართვო პირობების უწყვეტად შესრულების ვადით, მაგრამ არაუმეტეს 2020 წლის 9 მაისისა, დაინიშნა ნიკოლოზ ჩიქოვანი.

განჩინების მიხედვით, სპეციალურ მმართველს დაევალა: 1. კომპანიის სახელითა და ხარჯით სალიცენზიო/სანებართვო პირობების დროული და თანმიმდევრული შესრულების უზრუნველყოფა; კომპანიის უწყვეტი საქმიანობის განხორციელება; 3. კომპანიის მხოლოდ მის მიერ წარმოდგენა მესამე პირებთან ურთიერთობაში შეუზღუდავი ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით; 4. საქმიანობის შესახებ ყოველთვიური ანგარიშის დასამტკიცებლად სასამართლოში წარდგენა; 5. 2020 წლის 9 მაისამდე სალიცენზიო/სანებართვო პირობების შესრულების შემთხვევაში დაუყოვნებლივ სასამართლოსთვის მიმართვა სპეციალური მართვის გაუქმების შესახებ; 6. 2020 წლის 9 მაისამდე სალიცენზიო/სანებართვო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში სასამართლოსთვის დაუყოვნებლივ მიმართვა აღნიშნული ვადის გაგრძელების შესახებ; 7. კომპანიის მხრიდან ხელშეშლის შემთხვევაში ბრალეული პირების პასუხისმგებლობის საკითხის კანონმდებლობით დადგენილი წესით დაუყოვნებლივ დაყენება; საჭიროების მიხედვით, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც სამინისტროში განხორციელებული საქმიანობის ანგარიშის წარდგენა შესაბამის დოკუმენტებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შუამდგომლობაში აღნიშნულია, რომ საწარმო სპეციალური მმართველის ხელმძღვანელობით უწყვეტად მუშაობდა განჩინებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, რის შედეგადაც 2017 წელს დამტკიცებული განვითარების 14-პუნქტიანი გეგმა არსებითად შესრულებულია, ობიექტური პირობების არსებობის გათვალისწინებით კი განსახორციელებელი დარჩა მისი გარკვეული ნაწილი.

შუამდგომლობის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ვალდებულებების შესრულების დროს გამოიკვეთა მთელი რიგი ახალი გარემოებებისა, რომლებიც არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე და რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია, იმისათვის, რომ ამომწურავად და ეფექტიანად იქნეს მიღწეული საწარმოში სპეციალური მართვის რეჟიმის დაწესების მიზანი - სრულყოფილად იქნეს უზრუნველყოფილი კომპანიის მხრიდან სალიცენზიო/სანებართვო პირობების შესრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილია ახალი გეგმა, რომლის განხორციელებაც მიზანშეწონილად მიანიჩნია სპეციალური მართვის ფარგლებში, რათა სრულყოფილად იქნეს უზრუნველყოფილი კომპანიის მხრიდან სალიცენზიო/სანებართვო პირობების შესრულება.

შესაბამისად, შუამდგომლობის ავტორი ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 მაისის განჩინების 1.5. პუნქტის საფუძველზე მოხდეს თანდართული სამოქმედო გეგმით სპეციალური მართვის რეჟიმის დამატებით სამი წლის ვადით გაგრძელება.

2020 წლის 7 მაისს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ სასამართლოში წარმოდგენილ იქნა პოზიცია შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის" სპეციალური მმართველისათვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების თაობაზე. სააგენტო აღნიშნავს, რომ იგი წარმოადგენს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის პირობების კონტროლის განხორციელებაზე პასუხისმგებელ

კომპეტენტურ ორგანოს. ამასთან, სპეციალური მართვის რეჟიმის პერიოდში სალიცენზიო პირობების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება ადგილზე არ განხორციელებულა, მაგრამ მომართვა ეყრდნობა მხოლოდ სპეციალური მართვის რეჟიმის პერიოდში არსებულ ანგარიშებში არსებულ და კომპანიის მხრიდან 2020 წლის 7 მაისს სააგენტოში წარდგენილ ინფორმაციას.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის" სპეციალური მმართველის მიმართვით წარდგენილი გარემოებები, ასევე ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-17 პუნქტის დანაწესი ცხადყოფს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი სრულად არ იქნება აღმოფხვრილი ის პრობლემური საკითხები, რომელთა გადასაჭრელად მოხდა სპეციალური მართვის რეჟიმის დაწესება, მათ შორის სპეციალური მართვის რეჟიმის პერიოდში გამოვლენილი ახალი საკითხები/გარემოებები, კვლავ სახეზე იქნება სალიცენზიო/სანებართვო ვალდებულებების დარღვევა; სწორედ მსგავსი საკითხების გამოსასწორებლად 2017 წელს სასამართლოს მიერ კომპანიაში დანიშნულ იქნა სპეციალური მმართველი. სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს საფუძველი და სამართლებრივი მექანიზმი ამ ვადის გაგრძელებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ იქნება მიღწეული „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლით დასახული მიზანი. სააგენტოს მოსაზრებით, კომპანიის მიერ წარდგენილი დასაბუთებით დასტურდება 2020 წლის 10 მაისიდან მომდევნო 3 წლის განმავლობაში განსახორციელებელი ქმედებების საჭიროება; შესაბამისად, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი სპეციალური რეჟიმი გაგრძელდეს იმავე წესითა და პირობებით, როგორც ეს მოთხოვნილია კომპანიის მიერ.

2020 წლის 7 მაისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ იქნა პოზიცია შპს „ჯორჯიან მანგანეზის" სპეციალური მმართველის რეჟიმის გაგრძელებასთან დაკავშირებით. სამინისტრო აღნიშნავს, რომ სპეციალური მართვის რეჟიმის პერიოდში სანებართვო პირობების შემოწმება ადგილზე არ განხორციელებულა. შესაბამისად, შუამდგომლობის საფუძველს წარმოადგენს სპეციალური მართვის რეჟიმის პერიოდში არსებულ ანგარიშებში და სპეციალური მმართველის მხრიდან 2020 წლის 6 და 7 მაისს სამინისტროში წარმოდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

აღნიშნულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, სამინისტრო მიიჩნევს, რომ სპეციალური მმართველის მიერ გამოკვეთილი ახალი საკითხები/გარემოებები საჭიროებენ რეაგირებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კომპანიის მხრიდან საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობისა და სანებართვო პირობების მოთხოვნების შესაბამისად წარმართვა. აღნიშნულ ახალ საკითხებს/გარემოებებს შორისაა ისეთი პრობლემები, როგორიცაა: შლამების გადამუშავების აუცილებლობა, რაც მაღალი შედეგის მომტანი იქნება, როგორც ეკონომიკური, ასევე ნარჩენების მართვის თვალსაზრისით; ნარჩენების მართვის საკითხების დეტალური მოწესრიგება და ნარჩენების მართვის გეგმის შეთანხმება; გარემოზე ზემოქმედებისა და გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით სისტემატიური მონიტორინგის აუცილებლობა; მდინარე ციცინათელას დაბინძურებისგან დაცვისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება; მათ შორის

წყალამრიდი არხის მოწყობის საჭიროება; ყოველწლიურად არანაკლებ 50 ჰა ფართობზე სავალდებულო სარეკულტივაციო სამუშაოების ჩატარება და სხვ.. სამინისტროს მოსაზრებით, ცალსახაა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი არ იქნება აღმოფხვრილი სპეციალური მმართველის მიერ გამოვლენილი ახალი საკითხები/გარემოებები, კვლავ სახეზე იქნება სალიცენზიო/სანებართვო ვალდებულებების დარღვევა და ვერ იქნება მიღწეული „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლით დასახული მიზანი. სამინისტრო მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 მაისის განჩინების საფუძვლად არსებული მიზნის მიღწევისა და კომპანიაში სპეციალური მმართველის მიერ გამოვლენილი ახალი საკითხების/გარემოებების აღმოფხვრისათვის, ასევე, საწარმოს საქმიანობის სანებართვო პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია სპეციალური მართვის რეჟიმის გაგრძელება. ამასთან, განჩინებით სპეციალური მმართველის რეჟიმი დადგინდა 2020 წლის 9 მაისის ჩათვლით, რეჟიმის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით, სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია სპეციალური მართვის რეჟიმი დადგინდეს 2020 წლის 10 მაისიდან, ხოლო მისი მოქმედების ვადა, წარმოდგენილი გეგმის კომპონენტების გათვალისწინებით, კვლავ განისაზღვროს 3 წლის ვადით.

სამოტივაციო ნაწილი

სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს ჯორჯიან მანგანეზის სპეციალური მმართველის შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 მაისის განჩინებით დადგენილი სპეციალური მართვის რეჟიმის სამი წლის ვადით გაგრძელების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს:

ლიცენზიებისა და ნებართვიების შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს კანონი არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან ქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან. კანონით დადგენილ შემთხვევაში ამ კანონის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს აგრეთვე არაორგანიზებულ საქმიანობაზე ან ქმედებაზე. ეს კანონი ასევე აწესრიგებს ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფეროს, განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს, ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების წესებს. ამავე კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სარგებლობის ლიცენზიის ერთ-ერთი სახეა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, თუ ლიცენზიის გაუქმებამ უფრო მეტი ზიანი ქმედება გამოიწვიოს, ვიდრე ლიცენზიის მოქმედების გაგრძელებამ ან აღსრულებამ

შეუძლებელია მისი მოქმედების შეჩერება, ლიცენზიის გამცემი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ლიცენზიის მფლობელისათვის მის მიერ დადგენილი პირობების დაცვით ლიცენზირებადი საქმიანობის გაგრძელების უფლების მინიჭების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში უზრუნველყოს დამატებითი სალიცენზიო პირობების შესრულება; ამავე მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, თუ ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელის მიერ არ იქნება უზრუნველყოფილი სალიცენზიო პირობების შესრულება, ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია ლიცენზიის მფლობელისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად მიიღოს გადაწყვეტილება სალიცენზიო პირობების შესრულების თვითონ ან მესამე პირთა მეშვეობით, ლიცენზიის მფლობელის სახელითა და ხარჯით უზრუნველყოფის შესახებ; ამავე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, კანონით გათვალისწინებულ ლიცენზიათა სახეების შემთხვევაში, როდესაც სალიცენზიო პირობების შესრულება შეუძლებელია ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული წესით, ლიცენზიის გამცემის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზირებადი საქმიანობის განსახორციელებლად და სალიცენზიო პირობების შესასრულებლად სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ. თუ დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს ზიანი, ლიცენზიის გამცემი დასაბუთებული გადაწყვეტილებით ნიშნავს სპეციალურ მმართველს და დაუყოვნებლივ წარუდგენს სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად; ამავე მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად, შესაძლებელია ამ მუხლის მე-12, მე-13 და მე-14 პუნქტებით დადგენილი წესი გამოყენებული იქნეს ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმების მიუხედავად, თუ ლიცენზიის გამცემისათვის წინასწარ ცნობილია, რომ ლიცენზიის მფლობელის მიმართ ჯარიმის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს სალიცენზიო პირობების შესრულებას. ლიცენზიის გამცემი ვალდებულია დაასაბუთოს აღნიშნული გადაწყვეტილება; ამავე მუხლის მე-16 პუნქტის თანახმად, სპეციალური მმართველი უფლებამოსილია ლიცენზიის მფლობელის ხარჯით სალიცენზიო პირობების შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში შესრულების უზრუნველყოფის მიზნით განახორციელოს ყველა ღონისძიება, რომელიც უკავშირდება ლიცენზირებად საქმიანობას. თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი, სპეციალური მმართველის მიერ განხორციელებული საქმიანობის ყოველთვიურ ანგარიშს ამტკიცებს სასამართლო; ამავე მუხლის მე-17 პუნქტის თანახმად, სპეციალური მმართველი შესასრულებელი სალიცენზიო პირობების გათვალისწინებით ინიშნება განსაზღვრული ვადით. თუ დადგენილ ვადაში ვერ შესრულდა სალიცენზიო პირობები, სასამართლო უფლებამოსილია გააგრძელოს აღნიშნული ვადა;

ამავე კანონის 34-ე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, კანონით გათვალისწინებულ ნებართვათა სახეების შემთხვევაში, როდესაც სანებართვო პირობების შესრულება შეუძლებელია ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული წესით, ნებართვის გამცემის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სანებართვო ქმედების განსახორციელებლად და სანებართვო პირობების შესასრულებლად სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ. თუ დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს ზიანი, ნებართვის გამცემი დასაბუთებული გადაწყვეტილებით ნიშნავს სპეციალურ

მმართველს და დაუყოვნებლივ წარუდგენს სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად. ამავე მუხლის მე-16 პუნქტის თანახმად, სპეციალური მმართველი უფლებამოსილია ნებართვის მფლობელის ხარჯით სალიცენზიო პირობების შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში შესრულების უზრუნველყოფის მიზნით განახორციელოს ყველა ღონისძიება, რომელიც უკავშირდება სანებართვო ქმედებას. თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი, სპეციალური მმართველის მიერ განხორციელებულ ქმედებათა ყოველთვიურ ანგარიშს ამტკიცებს სასამართლო. ამავე მუხლის მე-17 პუნქტის თანახმად, სპეციალური მმართველი შესასრულებელი სანებართვო პირობების გათვალისწინებით ინიშნება განსაზღვრული ვადით. თუ დადგენილ ვადაში ვერ შესრულდა სანებართვო პირობები, სასამართლო უფლებამოსილია გააგრძელოს აღნიშნული ვადა.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემული შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას 2021 წლის 1 იანვრამდე. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას. ასეთ შემთხვევაში აღნიშნული პირი თავისუფლდება ამ კოდექსით დადგენილი გზშ-ის მოსაკრებლის გადახდისგან.

დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 მაისის განჩინებით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის გარემოს ეროვნული სააგენტოს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და დადგინდა შემდეგი:

„1.1. შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ (ს/კ 230085797) მიმართ დადგინდეს სპეციალური მართვის რეჟიმის მოქმედება, სანებართვო/სალიცენზიო ქმედების განხორციელებისა და სანებართვო/სალიცენზიო პირობების შესასრულებლად, არაუმეტეს 3 წლიანი ვადით, კერძოდ 2020 წლის 9 მაისისა;

1.2. შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ (ს/კ 230085797) მართვა განხორციელდეს სპეციალური მმართველის მიერ და ასეთად დაინიშნოს ნიკოლოზ ჩიქოვანი (პირადი N01009009175), სალიცენზიო/სანებართვო პირობების უწყვეტად შესრულების ვადით, მაგრამ არაუმეტეს 2020 წლის 9 მაისისა;

1.3. შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ (ს/კ 230085797) მართვა სპეციალური მმართველის მიერ განხორციელდეს ერთპიროვნულად, დამოუკიდებლად და ყველა იმ ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით, რაც მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონისა და შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ (ს/კ 230085797)

წესდების შესაბამისად შეიძლება გააჩნდეს საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს/ორგანოს, მათ შორის იმ ხელმძღვანელობითი/მმართველობითი უფლებამოსილების დამოუკიდებლად, ერთპიროვნულად და თანხმობის გარეშე განხორციელების ჩათვლით, რაც შპს „ჯორჯიან მანგანეზის" (ს/კ 230085797) წესდებისა და ,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გათვალისწინებულია დირექტორის, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა საერთო კრების ხელმძღვანელობით და მმართველობით კომპეტენციად. აღნიშნული ასახულ იქნეს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში შპს „ჯორჯიან მანგანეზის" (ს/კ 230085797) თაობაზე დაცულ სარეგისტრაციო მონაცემებში;

1.4. სპეციალური მართვის რეჟიმის განმავლობაში შპს „ჯორჯიან მანგანეზის" (ს/კ 230085797) მართვაში, კერძოდ საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაში მონაწილეობა ეკრძალებათ, რაც არ ეხება სპეციალური მმართველს, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულ შპს „ჯორჯიან მანგანეზის" (ს/კ 230085797) ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს/ორგანოს. აღნიშნული ასახულ იქნეს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში შპს „ჯორჯიან მანგანეზის" (ს/კ 230085797) თაობაზე დაცულ სარეგისტრაციო მონაცემებში;

1.5. სპეციალურმა მმართველმა:

ა) შპს „ჯორჯიან მანგანეზის" სახელითა და ხარჯით უზრუნველყოს სალიცენზიო/სანებართვო პირობების დროული და თანმიმდევრული შესრულება.
ბ) უზრუნველყოს შპს „ჯორჯიან მანგანეზის" უწყვეტი საქმიანობის განხორციელება;
გ) მხოლოდ მან წარმოადგინოს შპს „ჯორჯიან მანგანეზი" მესამე პირებთან ურთიერთობაში და შეუზღუდავი ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით.
დ) განხორციელებული საქმიანობის შესახებ ყოველთვიური ანგარიში დასამტკიცებლად წარუდგინოს სასამართლოს;
ე) 2020 წლის 9 მაისამდე სალიცენზიო/სანებართვო პირობების შესრულების შემთხვევაში დაუყონებლივ მიმართოს სასამართლოს სპეციალური მართვის გაუქმების შესახებ;
ვ) თუ 2020 წლის 9 მაისამდე ვერ შესრულდა სალიცენზიო/სანებართვო პირობები, დაუყონებლივ მიმართოს სასამართლოს აღნიშნული ვადის გაგრძელების შესახებ;
ზ) შპს „ჯორჯიან მანგანეზის" მხრიდან ხელის შეშლის შემთხვევაში დაუყონებლივ დააყენოს ბრალეული პირების პასუხისმგებლობის საკითხი, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
თ) საჭიროების მიხედვით, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც წარადგინოს სამინისტროში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში შესაბამის დოკუმენტებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

1.6. დაევალოს შპს „ჯორჯიან მანგანეზის" ხელმძღვანელობას, ყოველთვიურ შეუწყოს სპეციალურ მმართველს ნიკოლოზ ჩიქოვანს ამავე საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით და მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ

მიაწოდოს მას სანებართვო საქმიანობასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია და მატერიალური საშუალებები. ნებართვის მფლობელის მიერ აღნიშნული მოვალეობების შეუსრულებლობა ან სპეციალური მმართველისათვის ხელის შეშლა გამოიწვევს ნებართვის/ლიცენზიის მფლობელის პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

1.7. სპეციალური მმართველის ნიკოლოზ ჩიქოვანის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 8000 (რვაათასი) ლარის ოდენობით".

სასამართლო აღნიშნავს, რომ 2020 წლის 7 მაისს შპს „ჯორჯიან მანგანეზის" სპეციალური მმართველის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობით დასაბუთებულია ის გარემოებები, რომელთა უზრუნველსაყოფადაც მიზანშეწონილად მიაჩნია სპეციალური მართვის რეჟიმის გაგრძელება. შუამდგომლობას ერთვის შპს ,,ჯორჯიან მანგანეზი"-ს მიმდინარე საქმიანობის შესასრულებელი ღონისძიებების საშუალო ვადიანი გეგმა N1 დანართის სახით, ასევე დანართი N2-ით წარმოდგენილია ის პრობლემული საკითხები, რომლებიც დღეის მდგომარეობით დგას ლიცენზიის მფლობელი საწარმოს წინაშე და მათი გადაჭრა საჭიროებს გეგმაზომიერ, თანმიმდევრულ ქმედებებს.

სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ასევე სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ სასამართლოში წარმოდგენილ პოზიციაზე, რომლის მიხედვითაც სააგენტო, როგორც სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის პირობების კონტროლის განხორციელებაზე პასუხისმგებელი კომპეტენტური ორგანო, არ არის წინააღმდეგი სპეციალური რეჟიმი გაგრძელდეს იმავე წესითა და პირობებით, როგორც ეს მოთხოვნილია კომპანიის მიერ.

ამასთან, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ იქნა პოზიცია შპს „ჯორჯიან მანგანეზის" სპეციალური მმართველის რეჟიმის გაგრძელებასთან დაკავშირებით. სამინისტროს პოზიცია ეფუძნება სპეციალური მართვის რეჟიმის პერიოდში არსებულ ანგარიშებში და სპეციალური მმართველის მხრიდან 2020 წლის 6 და 7 მაისს სამინისტროში წარმოდგენილ ინფორმაცია/დოკუმენტაციას და რეჟიმის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით, სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია სპეციალური მართვის რეჟიმი დადგინდეს 2020 წლის 10 მაისიდან, ხოლო მისი მოქმედების ვადა, წარმოდგენილი გეგმის კომპონენტების გათვალისწინებით, კვლავ განისაზღვროს 3 წლის ვადით.

სასამართლო წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მხარეთა პოზიციის გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ სადღეისოდ, კვლავ არსებობს ის გარემოებები, რომელთა გამოც საჭირო გახდა შპს „ჯორჯიან მანგანეზი"-სათვის სპეციალური მმართველის რეჟიმის დანიშვნა. სალიცენზიო/სანებართვო პირობების დარღვევით საქმიანობის განხორციელება, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად სათანადო პროცედურის გავლა და შესაბამისად, ამ რეჟიმზე გადასვლისათვის საწარმოს მომზადების აუცილებლობა განაპირობებს სპეციალური მმართველის რეჟიმის გაგრძელების აუცილებლობას; ადგილობრივი პროცესების არასწორად წარმართვა გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს გარემოს,

უარყოფითად ზემოქმედებს წიაღზე, წყალსა და ჰაერზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31.1. მუხლის შესაბამისად, განცხადების საფუძველზე სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე შეუძლია დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. სასამართლოს დროებითი განჩინების გამოყენება დასაშვებია ასევე სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება, უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძვლების გამო. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დროებით განჩინებას იღებს საქმის განმხილველი სასამართლო. ასეთ სასამართლოს წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლო, ხოლო როდესაც დავა იხილება სააპელაციო ინსტანციაში – სააპელაციო სასამართლო.

სასამართლო აღნიშნავს, რომ დროებითი განჩინება, ისევე როგორც ნებისმიერი სახის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, ემსახურება უფლების რეალიზების მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილებას. განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებების საფუძველზე, სასამართლოს უნდა შეექმნას რწმენა და ალბათობის მაღალი ხარისხით დასაბუთებული ვარაუდი, რომ დროებითი განჩინებით, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე გაძნელდება ან შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება. დროებითი განჩინების ძირითადი მიზანია, არსებული მდგომარეობის შენარჩუნება. სასამართლოს მიიჩნევს, რომ მოცემულ ეტაპზე სახეზეა შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ სპეციალური მმართველის რეჟიმის ვადის გაგრძელების აუცილებლობა იმ პირობებით, როგორც იგი დადგენილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 მაისის განჩინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლოს მიაჩნია, რომ შპს ჯორჯიან მანგანეზის სპეციალური მმართველის შუამდგომლობა სპეციალური მმართველის რეჟიმის 3 წლით გაგრძელების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2. მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 195-ე მუხლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულება დაუყოვნებლივ ხორციელდება, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დადგენილი წესით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 418.1. მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას, რომელიც სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით იყო გათვალისწინებული. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ასეთი საპროცესო მოქმედების შესრულება. გასაჩივრებული განჩინებით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების შესრულების შეჩერება შეუძლია ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს.

სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 418.1. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას, რომელიც სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით იყო გათვალისწინებული.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე, 414-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ჯორჯიან მანგანეზის" (ს/კ 230085797) სპეციალური მმართველის - ნიკოლოზ ჩიქოვანის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. გაგრძელდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 მაისის განჩინებით დადგენილი შპს „ჯორჯიან მანგანეზის" (ს/კ 230085797) სპეციალური მართვის რეჟიმის მოქმედება იმავე წესითა და პირობებით, სანებართვო/სალიცენზიო ქმედების განხორციელებისა და სანებართვო/სალიცენზიო პირობების შესასრულებლად, არაუმეტეს 3 წლით, 2023 წლის 9 მაისის ჩათვლით;

3. შპს „ჯორჯიან მანგანეზის" (ს/კ 230085797) მართვა განხორციელდეს სპეციალური მმართველის მიერ სალიცენზიო/სანებართვო პირობების უწყვეტად შესრულების ვადით, მაგრამ არაუმეტეს 2023 წლის 9 მაისისა;

4. განჩინება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას;

5. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარების მომენტიდან 12 (თორმეტი) დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს (მის: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მეშვეობით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მის: თბილისი გრიგოლ რობაქიძის გამზირი №7ა).

მოსამართლე **ნინო ბუაჩიძე**

Georgia

IDENTITY CARD

მოქალაქის პირადობის მოწმობა

საქართველო

GEO

სახელი / FIRST NAME
ნიკოლოზ
NIKOLOZ

გვარი / LAST NAME
ჩიქოვანი
CHIKOVANI

მოქ. / CIT. GEO

სქესი / SEX
კაცი / M

პირადი No / PERSONAL No
01009009175

დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
03.10.1969

მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
22.11.2028

ბარათის No / CARD No
18IC14457

ხელმოწერა
SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
22.11.2018
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამზადების სრული დასახელება: MB-IDS 2016
სუსგ-ს რეგისტრაციის No 26-3164

IDGE018IC144570010090091 75<<<<
6910033M2811224GEO<<<<<<<<<<<2
CHIKOVANI<<NIKOLOZ<<<<<<<<<<<<<